# სპორტი

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

1 თებერვალი, პარასკევი, 1991 წ.
№ 18 (10.431) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**საქართველოს** სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი აგრძელებს ასპარეზობას საკავშირო პირველობის ფინალში გასასვლელ ტურნირში, შესარჩევ შეხვედრათა მეორე ტურში თბილისელთა მეტოქე იყო სამარყანდის „ცუმ"-ი. პირველსავე შეხვედრაში ქართველ კალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ არ გასჭირვებიათ მეტოქის დამარცხება — 132:91 (59:40). თბილისელებმა მეორე დღესაც იოლად სძლიეს მოწინააღმდეგეს 128:76 (63:41).

**სურათზე: ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სამარყანდელთა გუნდების შეკვეთრის მომენტი.**

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში

**„დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (ირკუტსკი) 112:100 (58:43).**

**თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სასახლე. 80 იანვარი.**

**„დინამო".** უსტიაშვილი (11), სანაძე (40), თორთლაძე (3), დარსაძე (13), შენგელია (22), ფერიაშვილი (12), ბაქრაძე (2), დაუშვილი (9), ცხვედიანი.

**„სტროიტელი":** სალოვაროვი (34), სოტნიკოვი, (2), პოლშინი (7), ოშჩეპკო (16), ჩადოვი (2), რეზნიკი (16), ბრიზგალოვი (17), დროეიანოვი (6).

**მსაჯები: ვ. ბუბნინი (ბაქო), ა. იაროცკი (მინსკი).**

ამ შეხვედრამდე დინამოელები სტუმრად დამარცხდნენ მინსკში, ადგილობრივ რტი-სთან — 89:107 (54:43), აქ ისინი, შეიძლება ითქვას, შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ: მინსკში ვერ იასპარეზა კახა შენგელიამ, რამაც, ცხადია, უარყოფითად იმოქმედა შედეგზე. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ბელორუსიის დედაქალაქში საუკეთესოდ ითამაშა გია სანაძემ, რომელმაც გუნდს 47 ქულა შესძინა.

ირკუტსკელებთან შეხვედრის დასაწყისში მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. მართალია, თბილისელები წინ იყვნენ, მაგრამ სტუმრებმა რამდენჯერმე მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება. პირველი ნახევრის მე-9 წუთიდან კი ქართველ კალათბურთელთა უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა და ტაიმიც მათივე გამარჯვებით დამთავრდა. — 58:43. დინამოელებმა არც შესვენების შემდეგ დათმეს ინიციატივა და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც — 112:100. ტრავმის შემდეგ კვლავ ვიხილეთ თბილისელთა კაპიტანი გელა დარსაძე, რომელმაც თავისი გამოცდილებით დიდი დახმარება გაუწია გუნდს. ამ გამარჯვებაში „ლომის წილი" ისევ გია სანაძეზე მოდის— მან გუნდს 40 ქულა შესძინა, აქედან 9 ზუსტი სამქულიანი ტყორცნა გაჩლდათ.

ჩვენი გუნდი ხვალ კვლავ შინ ითამაშებს ნერიუნგრის „შახტიორთან".

**გია ბურდული.**

**სურათზე: თბილისის „დინამოს" და ირკუტსკის „სტროიტელის" ასპარეზობის მომენტი.**

**დავით ლეკიაშვილის ფოტო.**



## ბუმერანგი

**გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა. საკავშირო პირველობის მორიგ მატჩში უმასპინძლა ლენინგრადის „ვოლნას" ანგარიშით 83:77 (45:40) გაიმარჯვეს ქართველმა კალათბურთელებმა.**

**შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი. ფონდის სახელზე აბრომრეფვბანკის საქართველოს უველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში თანხა შეგიძლიათ ჩეიტანოთ**

# მე-700

**ანგარიშზე. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.**

**სამაჩაბლოს ალორძინების ფონდი: საქართველოს მრეწველობენგანის საოპერაციო სალაროთა ერთიანი ბიბლიოთეკა სალ. № 521991**

# 00700750

**თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.**

● საქართველოს კინოფონდის კოლექტივმა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში გადარიცხა ერთი დღის ხელფასი.

### ხაშური

● საკოლმეურნეო ბაზრის თანამშრომლებმა ეროვნული თავდაცვისა და სამაჩაბლოს აღორძინების ფონდებში შეიტანეს 1000-1000 მანეთი.

● ალის მეურნეობის მშრომელთა კოლექტივმა სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში გადარიცხა 5000 მანეთი (გვაცნობა ა. ნოზაძემ).

### რუსთავი

● № 94 პროფტექსასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთაგან სამაჩაბლოს აღორძინების ფონდს შეემატა 500 მანეთი. (ზ. კვახაძე).

### ახალციხე

● სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ახალციხის რაისაბჭომ ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხა 3000 მანეთი (კ. გელაშვილი, დეპეშით).

● სპეციალურ მოძრავი მექანიზებული კოლონის ნრ-8-ის კოლექტივმა ეროვნული თავდაცვის ფონდში შეიტანა 1000 მანეთი (ტატაშვილი, დეპეშით).

● სოფელ აგარის მცხოვრებლებმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 850 მანეთი (ვ. ღვალაძე, დეპეშით).

## მინიფეხბურთი

# უეიკრიგეგა ამერ-იმერი

**მინიფეხბურთელთა** ეს ტურნირი, უეჭველია, საინტერესო იქნება. რატომ? თუ გავითვალისწინებთ იმას, რამხელა აჟიოტაჟი ახლავს თუნდაც მხოლოდ თბილისის ჩემპიონატს უბნებს შორის, იოლად მივხვდებით, რაოდენ ინტერესს გამოიწვევს რესპუბლიკური ტურნირი. დიახ, დღეს იწყება მინიფეხბურთელთა შეჯიბრება, რომელშიც, წინასწარი ვარაუდით (თუ რაიმე გაუთვალისწინებელმა გარემოებამ არ შეუშალა ხელი), ამერ-იმერის 20-მდე გუნდი იასპარეზებს. ტურნირი, რომლის ორგანიზატორია საქართველოს მინიფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაცია, ვიტალი დარასელიას ხსოვნას ეძღვნება. ამ ასოციაციის მესვეურთა სურვილია, შეჯიბრება ტრადიციული გახდეს.

დღეიდან 8 თებერვლამდე „ქარიშხალას" სპორტკომპლექსში გაიმართება ტურნირის საწყისი ეტაპის მატჩები, რომლებიც 10 საათზე დაიწყება. გადამწყვეტი ეტაპი — ნახევარფინალური შეხვედრები და ფინალი — მოიწყობა სპორტის სასახლეში. 9 თებერვალს 16 და 18 საათზე აქ ითამაშებენ ნახევარფინალისტები, 10 თებერვალს 17 საათზე დაიწყება ფინალური მატჩი (მანამდე, 15 საათზე გაიმართება მატჩი III ადგილისათვის).

აღსანიშნავია, რომ ტურნირზე დაწესებულია სოლიდური საპრიზო ფონდი. გამარჯვებული გუნდი მიიღებს 10.000 მანეთს, მეორე ადგილზე გასული — 4.000, მესამეზე — 2.000 მანეთს. ვიტალი დარასელიას ვაჟის პირად ანგარიშზე გადაირიცხება 4.000 მანეთი. შემოსავლის გარკვეული ნაწილი მოხმარდება საქველმოქმედო მიზნებს.

ტურნირის მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გიორგი ბაქანიძე. ასპარეზობის შედეგების მიხედვით შეირჩევა საქართველოს ეროვნული ნაკრები მინიფეხბურთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინ ვერც ერთი ვერ დაუდგა

**სასპარტაკიადო** ტურნირზე, ისევე როგორც ნებისმიერ საკავშირო შეჯიბრებაში, გუნდური პირველობისათვის საქართველოს და რუსეთის ფედერაციის ძიუდოისტები იბრძოდნენ. ამ ბრძოლას ჰქონდა მოულოდნელობებით აღსავსე ნიუანსები, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უველაფერი ლოგიკის ჩარჩოებში მოექცა და დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო. საქართველოს ათლეტებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვეს (235 ქულა), რუსეთის ფედერაციის ძიუდოისტები კი მათ 15 ქულით ჩამორჩნენ (220 ქულა). მესამე ადგილზე გავიდა ბელორუსიის ნაკრები, მაგრამ რამდენი ქულა დააგროვა მან, ჩვენთვის უცნობია (ვიცით მხოლოდ, რომ საქართველოსა და რუსეთის მოჭიდავეებს ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ).

რატომ არ უნდა იყოს ცნობილი, ვთქვათ, III საპრიზო ადგილზე გასული გუნდის ქულები, ან რატომ ჩატარდა საერთოდ, ასეთი ინფორმაციული სიმწირის პირობებში სასპარტაკიადო შეჯიბრება? ორში ერთი: ან ინფორმაციის საშუალებებმა დაკარგეს ყოველგვარი ინტერესი სპარტაკიადებისადმი, ან ისინი იგნორირებას უკეთებენ ძიუდოს, ვინაიდან სპორტის ამ სახეობაში ყველაფერი თავიდანვე ცნობილია. ასეა თუ ისე, მინსკიდან ოფიციალური არხებით ისეთი ლაკონური და ძუნწი ცნობები მოდიოდა, რომ შეჯიბრების საერთო სურათი რის ვაი-ვაგლახით ჩამოვაყალიბეთ. და მაინც, ერთი-ორი დეტალი გამოგვრჩა, რისთვისაც ოფიციალურად ბოდიშს ვიხდით.

„ლელოში" ვწერდით, რომ მინსკში ერთდროულად მიმდინარე ორივე ჩემპიონატში საქართველოს ათლეტებმა 16 სხვადასხვა ღირსების მედალი მოიპოვესო (9 მედალი — სპარტაკიადაზე და 7 — საკავშირო ჩემპიონატზე). არადა, ჩვენდაუნებურად, საერთო სათვალავისთვის ერთი საპრიზო ადგილი დაგვიკლია: ლენტეხელმა კახა ჭურასბედიანმა საკავშირო ჩემპიონატზე მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ასე რომ, საქართველოს ძიუდოისტებს მინსკიდან ჩვიდმეტი მედალი ჩამოუტანიათ.

ქართველ მოჭიდავეთა ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ჰყავს კონკრეტული ავტორები, რომლებიც მხოლოდ მადლობასა და ქების სიტყვებს იმსახურებენ. ესენი არიან: ნაკრების უფროსი მწვრთნელი შოთა ხაბარელი, მწვრთნელები სულიკო ფეიქრიშვილი, ანზორ მარტყოფლიშვილი, ომარ მერაბიშვილი, ბიძინა მონეგიშვილი, ჯუმბერ ჯღუთაშვილი, ვახტანგ კბილაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ბორის გოგიჩაშვილი, მერაბ ლოსეურაშვილი, ნუგზარ გოგოლაური, ამირან კელიხაშვილი, ექიმი — ლევან შენგელია, მასაჟისტი — თეოფილე ამკალოვი და კონსულტანტი — გურამ რატიშვილი...

ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რომელმა დელეგაციამ რამდენი მედალი მიიღო სასპარტაკიადო ტურნირში (ანალოგიურ ცნობას საკავშირო ჩემპონატზე ჯერჯერობით ვერ გაწვდით, ისევ და ისევ ინფორმაციის უქონლობის გამო).

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| საქართველო | 3 | 2 | 2 |
| რუსეთის ფედერაცია | 2 | 4 | — |
| ბელორუსია | 1 | — | 3 |
| აზერბაიჯანი | 1 | — | — |
| ლენინგრადი | 1 | — | — |
| მოლდოვა | — | 1 | 1 |
| უკრაინა | — | 1 | 1 |
| უზბეკეთი | — | — | 5 |
| მოსკოვი | — | — | 2 |
| ყაზახეთი | — | — | 2 |

**შენიშვნა:** ამ სიაში შეტანილი არ არის ქალთა ტურნირის მონაწილეთა შედეგები. როგორც ცნობილია, სასპარტაკიადო შეჯიბრებაში საქართველოს ორი წარმომადგენელი პრიზიორი გახდა: ვიქტორია კაზუნინამ III ადგილი დაიკავა აბსოლუტურ პირველობაში, ლუდმილა ქობულოვამ კი იგივე ჯილდო დაიმსახურა 65 კგ წონით კატეგორიაში. გარდა ამისა, კაზუნინას ვერცხლის მედალიც ხვდა საკავშირო ჩემპიონატში (მძიმე წონა).

გთავაზობთ პრზიორთა სიას წონითი კატეგორიების მიხედვით:

### X საკავშირო სპარტაკიადა

**მინსკი, 24-27 იანვარი**

**60 კგ.** 1. ე. ისმაილოვი (აზერბაიჯანი), 2. ი. ბახეევი (რსფსრ), 3. ა. ტოტიკაშვილი (საქართველო) და ფ. აგაევი (უზბეკეთი).

**65 კგ.** 1. გ. მოდებაძე (საქართველო), 2. ს. კოსმინინი (რსფსრ), 3. შ. გაფუროვი (უზბეკეთი) და მ. ბაგაევი (მოსკოვი).

**71 კგ.** 1. გ. ალიევი (რსფსრ), 2. ვ. დგებუაძე (საქართველო), 3. ვ. კოსტრავეცი (მოლდოვა) და ს. აშიროვი (ყაზახეთი).

**78 კგ.** 1. ბ. ვარაევი (რსფსრ), 2, ი. პასკარი (მოლდოვა), 3. ბ. ჯიქური (საქართველო) და პ. იასენოვსკი (ბელორუსია).

**86 კგ.** 1. ტ. აბდულაევი (ლენინგრადი), 2. დ. ბაგაური (საქართველო), 3. ვ. იუდანოვი (უკრაინა), და ვ. ბუდიუკინი (მოსკოვი).

**95 კგ.** 1. კ. კურტანიძე (საქართველო), 2. გ. გაურგაშვილი (რსფსრ), 3. ლ. სვირიდი (ბელორუსია) და დ. სოლოვიოვი (უზბეკეთი).

**მძიმე:** 1. დ. ხახალეიშვილი (საქართველო), 2. ო. გრიციშინი (უკრაინა), 3. რ. ირგაშევი (უზბეკეთი) და რ. შარაბოვი (ბელორუსია).

**აბსოლუტური.** 1. ე. დოლ[illegible] (ბელორუსია), 2. ე. პეჩუროვი (რსფსრ), 3. ა. გერასიმოვი (უზბეკეთი) და ი. პეშკოვი (ყაზახეთი).

იხ. მე.3 გვ.

ჯონდო დაბრუნდაშვილი

დავით ბაგაური

ვლადიმერ დგებუაძე

გერასიმე ხაბულიანი

კახაბერ ჭურასბედიანი



ბაბო ჯიქური

ამირან ტოტიკაშვ[illegible]

**გვაახლოვდებართ, ჩემპიონებო!**

# არა მხოლოდ კალათბურთით...

**მარჯანიშვილის** თეატრში ლამის საუკუნის სენსაციად მიიჩნიეს ის, რომ ვასო გოძიაშვილისა და სესილია თაყაიშვილის ვაჟი, თურმე, სერიოზულად აპირებდა კალათბურთელობას და „დინამოშიც“ კი მიიწვიეს:

— წარმოგიდგენიათ, მედალზე მაინც არ ამთავრებდეს სკოლას, უფრო სერიოზული საქმე ვერ გამონახა?

გაისმა - წუწუნავასეული „და“, „და“-ც, რასაც იგი ხაზგასმული მნიშვნელობით წარმოთქვამდა ხოლმე.

ახლა კი მოდით, დავტოვოთ თეატრის მტვრიანი კულისები, მსახიობთა მყუდრო ოთახები და ხმაურიან საკალათბურთო მოედნებს მივაშუროთ... ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ომის შემდგომ წლებში ვერელი ყმაწვილები, კერძოდ კი მეშვიდე ვაჟთა სკოლის მოსწავლეები, ფეხბურთმა და კალათბურთმა გაიტაცა. შორს წაგვიყვანდა იმის ჩამოთვლა, როგორი სახელები მისცა ამ სკოლამ ქართულ სპორტს. მეშვიდე სკოლის კალათბურთელებმა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში აიდგეს ფეხი გულისხმიერი პედაგოგის თამარ გეგელაშვილის ჯგუფში, რომელშიც დავით გოძიაშვილის თანაკლასელი ვასიკო აზაურაშვილიც ირიცხებოდა. სწორედ მან აიყოლია ეს კანაბიჯი და მწვრთნელს წარუდგინა. დათოს კალათბურთელის ყველა მონაცემი აღმოაჩნდა — სიმაღლე, სისწრაფე და ელვისებური რეაქცია, ეს არ გამოჰპარვიათ სპეციალისტებს და ჰაბუკი უყოყმანოდ ჩარიცხეს საქართველოს ნაკრებში, რომელიც მოსწავლეთა საკავშირო პირველობისათვის ემზადებოდა. ჩვენმა ნაკრებმა ტრიუმფით განვლო პირველობა და ჩემპიონის სატიტო სახელით დაბრუნდა შინ. თბილისში არ ჩამოსულა მხოლოდ დავით გოძიაშვილი, რომელმაც იქვე, ოდესაში, პირველობის დამთავრებისთანავე ასეთი დეპეშა მიიღო: „ჩამოდი სასწრაფოდ მოსკოვში“. საქმე ის იყო, რომ დედაქალაქში მიმდინარე საკავშირო პირველობაში ჩაბმულ თბილისის „დინამოს“, რომ იტყვიან, ჰაერივით სჭირდებოდა დავითის ყაიდის მოთამაშე და ვისაც მისი თამაში ნანახი ჰქონდა, თავდაჯერებული სთავაზობდა გუნდის ხელმძღვანელობას, გამოიძახეთ გოძიაშვილი, გამოგადგებათო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ერთი მეტად საგულისხმო ფაქტორი: კერძოდ კი ის, რომ თანატოლებში წარმატებებით განებივრებული ჰაბუკი ჯერ ვერ სწევს დიდი სპორტის ჯაპანს, ძირითად შემადგენლობაშიც კი უჭირს ადგილის დამკვიდრება. ჰაბუკთა ტურნირებში იოლი გამარჯვებები ილუზიებს უქმნის, ჭგონია, ნებისმიერ შეჯიბრებაში ყველაზე ძლიერი იქნება. და როცა ეს ასე არ ხდება, ჰაბუკი იბნევა, მერყეობს და მისი თამაშიც უფერულდება. ამ მხრივ გამონაკლისი გახლდათ გოძიაშვილი, რომელიც, ძველმოდური შედარება გამოვიყენოთ, „მეტეორივით შეიჭრა“ „დინამოს“ თავდასხმაში და თავიდანვე კარგად აუბა მხარი მის იერიშებს. მისი დებიუტი რესპუბლიკის მაშინ ჯერ კიდევ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში წარმატებით დაგვირგვინდა. დინამოელებმა 1948 წელს ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს და ამაში გარკვეული წვლილი დავით გოძიაშვილსაც მიუძღოდა, რადგან იგი შედიოდა თბილისელ მოიერიშეთა იმ სამეულში (ინწკირველი, გოძიაშვილი, ჟღენტი), რომლის წინააღმდეგაც მეტოქე უძლური იყო. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო დავით გოძიაშვილის სარბიელზე გამოსვლა, რადგან იმ დროისათვის ეს აღნაგი კალათბურთელი უდიდესი სისწრაფით მოძრაობდა მოედანზე და არაფრად უღირდა მეტოქის დაცვის რიგების გარღვევა. მოსკოვში წარმატებით გამოსვლის შემდეგ „დინამოს“ ახალი მოთხოვნები წაუყენეს. წინ იყო სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელიც პირველად ჩატარდა 1949 წელს. ძველი თაობის კალათბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თბილისური შემოდგომის ის დღეები ვერის ბაღის კალათბურთის მოედანზე, კერძოდ ის, რა დაძაბული გამოდგა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ქვეყნის ჩემპიონთან ტარტუს გუნდთან. ეს შეხვედრა მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით — 25:24 მოიგეს და გზა გაიკაფეს ფინალისაკენ, იქ კი სძლიეს რიგის „დაუგვავს“ და თასიც დაისაკუთრეს. ასე თანდათან უახლოვდებოდნენ დინამოელები, მათთან ერთად დავით გოძიაშვილიც, სანუკვარ მიზანს, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობა ჰქვია. ეს დღეც დადგა. თბილისის „დინამომ“ ერთი წლის შემდეგ საკავშირო პირველობაზე ვილნიუსში არავის დაუთმო უძლიერესის სახელი და ლაურეატთა შორის, რომელთაც ოქროს მედლები გადაეცათ, იყო დავით გოძიაშვილიც. მის თამაშს ყურადღება მიაქცია, ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობამაც. თანაგუნდელებთან ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკასთან ერთად დავით გოძიაშვილი მიიწვიეს გუნდში, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბერლინის ფესტივალისათვის ემზადებოდა. იგი 1951 წლის აგვისტოში ჩატარდა. ბერლინის სტადიონებსა და დარბაზებში ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა 44 საელმწიფოს 2.000-ზე მეტი სპორტსმენის პაექრობა 13 სახეობაში. იქ პირველად გამოდიოდნენ ამერიკის და აფრიკის არაერთი ქვეყნის წარმომადგენლები, რამაც ასპარეზობას უფრო მასშტაბური და დაძაბული ხასიათი მიანიჭა. საბჭოთა კალათბურთელებმა, რომელთა შორის ქართველთა სამეულიც იყო, განაცვიფრეს უცხოელი მწვრთნელები და სპეციალისტები. გუნდმა წაუგებლად დაიმსახურა ოქროს მედლები.

**ომამდე და მის შემდეგაც, ჩვენში ძალზე პოპულარული ტურნირი გახლდათ 8 ქალაქის მატჩი კალათბურთში, რომელიც უაღრესად საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლებით აღინიშნებოდა. ხურათზე აღბეჭდილია სწორედ ამ ასპარეზობის ერთ-ერთი შეხვედრა, რომელიც ლენინგრადის მანეჟში გაიმართა. ერთმანეთს ხვდებიან თბილისისა და მოსკოვის გუნდები. ბურთისათვის იბრძვის დავით გოძიაშვილი (№ 7).**

იმავე წელს თბილისის „დინამომ“ მესამედ მოიპოვა ქვეყნის თასი და შემდეგ ეს პრიზი კარგა ხანს აღარ გათამაშებულა — აქაოდა, მას ისევ ქართველები დაისაკუთრებენო. ბროლის თასს თბილისელებმა კიდევ ორი გამარჯვება დაუმატეს საკავშირო სარბიელზე. 1954 წელს „დინამომ“ პირველად იმოგზაურა უცხოეთში და დაუმარცხებლად მოიარა ეგვიპტე, სირია, ლიბანი. იქაც, გუნდის წარმატებაში თავისი სიტყვა თქვა დავით გოძიაშვილმა. რომლის ელვისებურ გარღვევებს სულგანაბული ადევნებდა თვალს მაყურებელი.

დავით გოძიაშვილი ათი წლის განმავლობაში წარმატებით იცავდა ქართული სპორტის ღირსებას. რაც შეეხება მათ გაწიწმატებას, რომლებიც არ ცხრებოდნენ და თეატრში გამოჩენისას გამქირდავ მზერას გააყოლებდნენ ხოლმე. მათ ჯიხაზე დავითი კალათბურთის თამაშთან ერთად, დიდი მონდომებით ეუფლებოდა გეოლოგიას, თავდაუზოგავად მეცადინეობდა შეჯიბრებებსა და შეკრებებს შორის, წარჩინებულის დიპლომით დამთავრა თბილისის უნივერსიტეტი და საფუძვლიანად დაეუფლა არჩეულ პროფესიას.

სპორტულ წარსულს არც პროფესიულ სრულყოფაში შეუშლია მისთვის ხელი და აქაც არაერთგზის უგრძვნია გამარჯვების სიხარული. ეს გამარჯვებები დაკავშირებულია ძმის რკინის საბადოსთან, რომლის პირველადმომჩენიც დავით გოძიაშვილია. მის ბერ-ინტერესულ საბურღი სამუშაოების შედეგად 400 მეტრ სიღრმეზე აღმოჩნდა საბადო. მალე გეოლოგთა ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელშიც დავით გოძიაშვილი ირიცხებოდა, დიდი საძიებო სამუშაოები ჩაატარა სვანეთში, 3000 მეტრ სიმაღლეზე, იქ სიძნელე ზომაზე მეტი იყო — მიუვალ ბაზამდე თვითონვე გაპრეს გზა. რკინას ეძებდნენ. მრავალთვიანმა ძიებამ შედეგი არ გამოიღო — მართალია, რკინას მიაგნეს, მაგრამ საბადომ, მცირე მარაგის გამო, სამრეწველო მნიშვნელობა ვერ მიიღო. ეს თითქოს დამარცხებაა, მაგრამ არა — გეოლოგიური პარტიის წევრები მაინც კმაყოფილნი დაბრუნდნენ, რადგან ისინი წიაღის მზვერავებიც არიან და, ამდენად, მთელ მიწისქვეშა სამყაროს უნდა „ჭვრეტდნენ“. რკინა არ დახვდათ? ესეც საქმეა, რადგან ტყუილად აღარავინ გაირჯება იქ.

გეოლოგიაში კაცრების დიდი დენადობაა და სამუშაოს ხასიათის გამო ზოგჯერ ერთ უბანზე ოცი-ოცდაათი ადამიანია საჭირო. მათი თავმოყრა ადვილი არ გახლავთ. დავითი ამას რაღაც „უხილავი ძალებით“ ახერხებდა და ახერხებს. იგი წარმატებით უძღვება საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოს, რომლის თავმჯდომარეც არის. დარგის პროფკავშირი მისი თავკაცობით დიდ ზრუნვას იჩენს მშრომელებზე. ზამთრის სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ „გეოლოგების“ ბაზას ბაკურიანში, სადაც ასობით დამსვენებელი იკაჟებს ჯანმრთელობას. გარდა ამისა, საბჭო სისტემატურად ატარებს შეჯიბრებებსა და ტურნირებს სპორტის ბევრ სახეობაში, ყოველწლიურად მართავს ტრადიციულ ასპარეზობას მინიფეხბურთში, რომლის დროსაც თბილისის სპორტის სასახლე უამრავ მაყურებელს იზიდავს.

დავით გოძიაშვილს კიდევ მრავალი იდეა და ჩანაფიქრი აქვს განსახორციელებელი. ღმერთმა ხელი მოუმართოს!

**უშანგი ჭიჭინაძე**

# ვერწმუნეთ, ბედნიერებაა...

**თბილისელი „ზღვის მგლები“.**

**თბილისის** ზღვაზე ნიავი ქროდა. ტალღები ზანტად ეხეთქებოდნენ იალქნიან ნავს, რომელიც მოთმინებით ელოდა პატრონს...

ზაზა გაჩეჩილაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის პროფესორი, აფროსნობის დიდი ტრფიალი და კარგი იახტსმენი. ერთი სული აქვს, ავიდეს ნავზე, აუშვას აფრები და...

**● ბატონო ზაზა, მცირე ხნით შეგაყოვნებთ... დიდი ხანია, თბილისის ზღვაზე დადიხართ?**

— თუ ჩემი აფროსნობით გატაცება გაინტერესებთ, 7-8 წელია იგი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

**● [illegible] ერ დაიწყო ეს გატაცება?**

— [illegible]ლად მოულოდნელად. ჩემი მეგობარი გეოგრაფები: თენგიზ ჯანჯღავა, გია ხმალაძე და კახა ბილაშვილი ამ საქმის დიდი მოყვარულები არიან. სხვათა შორის, უნივერსიტეტის იახტკლუბის არსებობა სწორედ მათი დამსახურებაა. ბატონ თენგიზისგან გავიგე, რომ, თურმე, აქვე, ყურის ძირში, თბილისის ზღვაზე გვქონია აფროსნობის კლუბი. მანვე მირჩია გავმხდარი[illegible] კლუბის წევრი. ადრე თხილ[illegible]ებით ვსრიალებდი, და, რადგან ამის საშუალება მხოლოდ ზამთარში მეძლეოდა, თენგიზის წინადადებამ მომხიბლა — ზაფხულში ხომ თავისუფალი ვიყავი. ასე დავიწყე შეგობრებთან ერთად ზღვაზე სიარული. ჯერ თეორიული, „დაწყებითი“ განათლება მივიღე, მალე ნავში ჩამსვეს.

ადრე ვფიქრობდი, თხილამურებით სრიალს არაფერი შეედრება-მეთქი, მაგრამ, როცა ნავით წყალში შევცურდი, ვირწმუნე — წყლის ტალღაზე იდუმალი და მშვენიერი ჯვეულად არაფერი ყოფილა. ზოგჯერ კაცს წილად ხვდება ბედნიერება, სასიკეთოდ შეცვალოს ცხოვრების ჩვეული წესი, დაემშვიდობოს მოყირჭებულს, მისდიოს ახალს. მე სწორედ ზღვამ „დამმართა“ ეს.

**● კლუბის სახელით თუ გამოსულხართ შეჯიბრებებში ან რომელიმე ექსპედიციაში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?**

— იცით, მე მოყვარული აფროსანი უფრო ვარ და არა პროფესიონალი სპორტსმენი. დიდ შეჯიბრებებში არასოდეს გამოვსულვარ, რადგან საამისო დრო არა მაქვს ჩემი ძირითადი საქმიანობის გამო. ვმონაწილეობდი მხოლოდ თბილისში გამართულ რეგატებში, რომელსაც ჩვენი კლუბის თავმჯდომარე დიმიტრი ვარძელაშვილი აწყობდა; შეჯიბრებას, როგორი მასშტაბისა და რანგისაც უნდა იყოს, თავისი ჰეწი და ლაზათი აქვს. რამდენიმე ნავი ნიშანზე რომ ერთად გასრიალდება წყალზე, რაღაცნაირად, ბავშვივით აგიჩქროლდება გული. ვინ იქნება პირველი, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ გიხარია და კმაყოფილი ხარ.

1983 წელს, როდესაც უნივერსიტეტის იახტკლუბმა რიგაში პოლონური აფრიანი ნავი შეიძინა, ბატონმა თენგიზმა მის ჩამოსაყვანად ექსპედიცია მოაწყო, სადაც მეც მიმიწვია და, რასაკვირველია, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. მარშრუტი ასეთი იყო: ბალტიის ზღვა —ონეგისა და ლადოგის ტბები — ვოლგა-დონი-აზოვის ზღვა-ქერჩის სრუტე-შავი ზღვა. დამეთანხმებით, მრავალფეროვანი მარშრუტია: ზღვა, მდინარე, ტბა. მაგრამ ზღვა — ეს ზღაპრული სამყაროა. უჩვეულო სანახაობა შტორმის დროს კოკისპირული წვიმის ფარდით ჩამობურული, აბობოქრებული ზღვა. ცისა და წყლის სტიქიებს, ასე გგონია, ერთი სახე მიუღიაო და ვეღარ არჩევ, სად იწყება და სად მთავრდება ერთი ან მეორე.

სულ სხვაგვარია ზღვა მზიან ამინდში. ადამიანის მზერა ლაღად მისრიალებს წყლის ლურჯ ზედაპირზე, მისი მშვიდი ლივლივი გულის კიდეც. წყლის შლეიფში, ნავი რომ ტოვებს, ფართო ფოსფორული ლაქები რიალებენ. ასე გგონია, ქვემოდან ვიღაც გიგანტურ კალეიდოსკოპს ატრიალებს.

**● თქვენ ახე რომანტიკულად აღიქვამთ ზღვას— აკი მეზღვაურებსაც უგირთ ხოლმე ხმელეთთან შეგუება.**

— პოლონელ იახტსმენს სტენლი იაბლონსკის, რომელმაც ატლანტიკა გადაცურა, ნაპირზე გადმოსვლისას სინანულით აღმოხდა: „რა ძნელია დაუბრუნდე ჩვეულებრივ ცხოვრებას, ისევ ჩაიცვა ფეხსაცმელი“. ეს სრული ჭეშმარიტებაა. წყალს შეუძლია დაასვენოს, განტვირთოს ადამიანი, „დამუხტოს“, გრძნობებით ააკსოს ის. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. მერწმუნეთ, ბედნიერებაა, რომ თბილისელებს გვაქვს ჩვენი ზღვა. აქ შეგიძლია გამოერიო ათასგვარი ლაყბობითა და ტყვეის სუნით გაჟღენთილ ქალაქს, მოჰიმო აფრები და შეუერთდე ზღვას. ეს მართლაც ნეტარებაა.

**● ქართველები ბუნებით რომანტიკოსები არიან, არადა, ხოცარია — ზღვის რომანტიკას ვერა და ვერ „გავუგეთ გემო“, ჩვენ ხომ არახდროს ვყოფილვართ დიდი ნაოსნები.**

— ამაში ვერ დაგეთანხმებით. ქართველი კაცის ცხოვრება ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ზღვასთან. ისტორია გვიდასტურებს და ახლაც ასეა: ლეგენდარულ კოლხ მეზღვაურთა მოუსვენარი სული მუდამ ცოცხლობს ჩვენს ხალხში. უბრალოდ, ქართველები ბუნებით არასოდეს ვყოფილვართ დამპყრობლები და საზღვაო ფლოტი, ალბათ, ამიტომაც არასოდეს გვყოლია; არც მძარცველები ვიყავით და მეკობრეობაც უცხო იყო ჩვენთვის, თორემ, არც გულადი ზღვაოსნები და მოგზაურები გვკლებია, არც ჩინებული კაპიტნები და თვალზმჭერები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ გვაქვს ქართული საზღვაო ტერმინოლოგია, რომელიც ჩვენი ხალხის ზღვასთან საუკუნოვან კავშირს ადასტურებს.

**● მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავი პირობები გვაქვს, ჩვენში აფროსნობა ისე არ არის განვითარებული, როგორც სხვაგან...**

— თქვენ თუ აფროსნობის მასობრიობას გულისხმობთ, სპორტის ეს სახეობა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ჩვენში მასობრივი ვერ იქნება. არსებობს მრავალგვარი ბარიერი, რომელნიც დღესდღეობით გადაულახავია. ჯერ ერთი, იალქნიანი ნავის შეძენა ძალიან დიდ თანხებს მოითხოვს — მისი ყიდვა ერთი პიროვნებისათვის შეუძლებელია. თუმცა, არიან ადამიანები, ვისთვისაც ეს ხელმისაწვდომია, მაგრამ, გარკვეული მოსაზრების გამო, არ შეიძლება, მათთავს ასეთი ფუფუნების უფლება მისცენ. ნავი აუცილებლად უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე წარმოებადწესებულებას. მეორეც, იახტით ცურვის უფლება ყველას არა აქვს, მით უფრო, მისი ღია ზღვაში გაყვანისა: უნდა შეუთანხმდე უშიშროების კომიტეტს, სასაზღვრო ჯარებს, მილიციას. ათი კაცის ნებართვა გვჭირდება თითოეული გასვლისას. ზოგჯერ ნებას გრთავენ, ზოგჯერ არა. მეტად მოსაბეზრებელი და რთული პროცედურაა.

**● ბატონო ზაზა, როგორ გესახებათ აფროსნობის განვითარების პერსპექტივები ჩვენში და იდგება თუ არა რაიმე კონკრეტული ნაბიჯები ამ მხრივ?**

— რაც შეეხება განვითარების პერსპექტივებს, მოვხსნათ ის ორი ძირითადი ბარიერი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, და ნახავთ, რამდენი აფრიანი ნავი ჩაჯდება წყალში. კონკრეტული და არსებითი ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა, თუმცა, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახლა მაინც უნდა გაიოლდეს საქმე, ჩვენ აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ წყალს. დღეისთვის კი აფროსნობა ისევ რჩება სპორტის ელიტარულ სახეობად.

...როგორც კი აფრები აუშვეს, ნავი სწრაფად გასრალდა წყლის ზედაპირზე და შეუერთდა იმ იდუმალ სივრცეს, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანისთვის მიუწვდომელია.

**მანანა ხოხელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე დიდი სიხარული

## ექვსჯერ აჭღერდა „დიდება“...

**გამარჯვებულნი შინ ხმაურისა და ზარ-ზეიმის გარეშე დაბრუნდნენ. თუმცა, თავისი წილი სითბო და სიყვარული ყველამ მიიღო. საქართველოში ძიუდო პოპულარული სპორტის სახეობაა და გულშემატკივრებიც გასაგები სიხარულით აღიქვამენ ფალავანთა ყოველ წარმატებას. ამჯერად, ჩვენი ძიუდოისტები მინსკიდან ორმაგად გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ: პირველი ადგილი სახპარტაკიადო ტურნირში და ასევე ბრწყინვალე გამოსვლა საკავშირო ჩემპიონატზე.**

**ბუნებრივია, ჩვენი საუბრის თემას საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელთან შოთა ხაბარელთან სწორედ ამ ორი ტურნირის შედეგები წარმოადგენდა. მით უმეტეს, გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ მკითხველი ნაკლებად იყო ინფორმირებული ტურნირის მსვლელობისა და ცალკეული დეტალების შესახებ.**

შოთა ხაბარელი

**● ბატონო შოთა, თავდაპირველად, გთხოვთ მკითხველს განუმარტოთ, ამ ორი პარალელური შეჯიბრების არსი, მათი ჩატარების პრინციპი.**

— ახალი აქ არაფერია. სპარტაკიადის წელს ტრადიციულად ტარდება ორი შეჯიბრება, რათა ცალკე იქნას გამოვლენილი სპარტაკიადისა და ცალკე საბჭოთა კავშირის ჩემპიონები.

**● სწორედ რომ ეს გვაინტერესებს. რა საჭიროა ერთი შეჯიბრების ასეთი დანაწევრება?**

— სპარტაკიადა და საკავშირო ჩემპიონატი არ გახლავთ ერთი შეჯიბრება.

**● რა განსხვავებაა მათ შორის?**

— სპარტაკიადაზე ყოველ რესპუბლიკას თითო წონაში თითო მონაწილე გამოჰყავს, ესე იგი, გუნდი რვა მოჰიდავით იბრძვის. ამის გამო, ბევრი ძლიერი ძიუდოისტი „თამაშგარე მდგომარეობაში“ რჩება. საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლის უფლება კი ყველა უძლიერესს აქვს. მეტი სიცხადისათვის ჩვენი ბიჭების მაგალითს მოგიყვანთ. 86 კგ წონით კატეგორიაში ახმეტელმა დავით ბაგაურმა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. იმავე წონაში ზესტაფონელი გიორგი გაჩიჩილაძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ორმაგი ტურნირის გარეშე აქ ერთ-ერთი მოჭიდავე უსათუოდ დაიჩაგრებოდა.

**● როგორი პრინციპით ტარდება საკავშირო ჩემპიონატი?**

— თავდაპირველად, ცალკე ასპარეზობენ სპარტაკიადის და ცალკე საკავშირო სპორტსახკომის ტურნირის მონაწილენი. მერე ოთ-ოთხი უძლიერესი ქმნის ფინალურ ჯგუფს ყოველ წონაში, სადაც ვლინდებოდნენ ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები...

**● გასაგებია. მაგრამ გამოდის, რომ საკავშირო ჩემპიონატი უფრო ძლიერ შემადგენლობას უყრია თავს?**

— დიახ, ასეა, და მაინც, სპარტაკიადა უფრო პრესტიჟული ტურნირია, იგი ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა და ყველა დელეგაციის უურადღება, ბუნებრივია, მასზეა კონცენტრირებული.

**● ქართველი გულშემატკივრებისთვის, გულახდილად უნდა გითხრათ, მოულოდნელი იყო ამირან ტოტიკაშვილის მესამე ადგილი. მსოფლიო ჩემპიონისაგან, რა დასამალია, მხოლოდ გამარჯვებას ველოდით.**

— გამარჯვებაში ეჭვი არც ჩვენ გვეპარებოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, ფაქტობრივად, „უბედური შემთხვევა“: პირველსავე შეხვედრის პირველსავე წუთზე აზერბაიჯანელ ისმაილოვთან ბრძოლაში ამირანმა თითი მოიტეხა. შეხვედრის დაწყებიდან გასული იყო სულ რაღაც თხუთმეტიოდე წამი, მაგრამ ტკივილი იმდენად მწარე და აუტანელი გამოდგა, რომ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შესძლო. თუმცა, ბოლო მომენტში მაინც იხმარა ეშმაკობა: ექიმს არ მოახსნევინა თავი, თვითონ თქვა უარი შეხვედრის დამთავრებაზე და ამით ტურნირის გაგრძელების უფლება დაიტოვა.

**● შეეძლო კი ხელახლა გამოსვლა სარბიელზე?**

— ჩვენმა ექიმმა ლევან შენგელიამ კარგად იმუშავა. ამირანმა ორი მომდევნო შეხვედრა წმინდად მოიგო, ფაქტობრივად, ცალი ხელით. მერე მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლებაც მოიპოვა და იქაც საკმაოდ ძლიერ სომეხ მოჭიდავეს ორი იუკო აართვა.

**● ესე იგი. ტოტიკაშვილს ბრინჯაოს მედალი, პირდაპირი მნიშვნელობით რომ ვთქვათ, ცალი ხელით მოუგია.**

— როგორც მწვრთნელი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამირან ტოტიკაშვილის ჭიდაობა ამ ტურნირზე ნამდვილი გმირობა იყო. სხვა, დარწმუნებული ვარ, ამას ვერ შეძლებდა.

**● როგორც ჩანს, ასეთი საქციელისთვის ამირანს გარკვეული სტიმულიც ჰქონდა?**

— ჰქონდა, რა თქმა უნდა, და ეს სტიმული გუნდის გამარჯვება გახლდათ, ამირანი რომ მოეხსნათ გათამაშებიდან, პირველ ადგილს უნდა გამოვთხოვებოდით. სერიოზულად ტრავმირებულ მოჭიდავეს ბრძოლის გაგრძელებას ვერავინ ურჩევს. ეს ამირანმა კარგად იცოდა და გადაწყვეტილება თავად მიიღო. ახლა უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოს ძიუდოისტთა პირველ ადგილში ლომის წილი ამირან ტოტიკაშვილს ეკუთვნის...

**● როგორც ჩანს, შეჯიბრების ბოლო დღე, ან უფრო სწორად, მისი პირველი ნახევარი, ჩვენი ნაკრებისთვის მაინც და მაინც ხახრბიელო არ ყოფილა: სახტარტო შეხვედრა წააგო ტოტიკაშვილმა, პირველ ბრძოლაში დამარცხდა ზაზა დაბრუნდაშვილიც — საბჭოთა კავშირის, შარშანდელი ჩემპიონი აბსოლუტურ კატეგორიაში...**

— ჩემი აზრით, ზაზამ სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქე — აზერბაიჯანელი აბასოვი. არა, დიდი ვერაფერი მოჭიდავე გახლავთ, მაგრამ, ჩვენებურად რომ იტყვიან, ცერის გამოკვრა კარგი სცოდნია. ზაზას დაცემა მსაჯებმა მყისვე წმინდა დამარცხებად შეაფასეს. სხვანაირ „განაჩენს“, გულახდილად გითხრათ, არც ველოდით.

**● იქნებ წმინდად არც წაუგია?**

— მსაჯებთან კამათი, საერთოდ, უნაყოფო საქმეა და მეც ყოველთვის გავურბივარ ამას. მაგრამ ერთი რამ დარწმუნებით შეიძლია ვთქვა: იპონი რომ არ მიეცათ დაბრუნდაშვილისთვის, იგი მეტოქეს მოუგებდა. აი, მსაჯებმაც ეს შანსი წაართვეს ზაზას და მისი სახით საქართველოს ნაკრებს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა.

**● წლეულს ძიუდოისტებს ორი პრესტიჟული ტურნირი აქვთ ჩახატარებელი — ევროპის ჩემპიონატი და მსოფლიო პირველობა. ნაკრები გუნდის კონტურები სპარტაკიადაზე, ალბათ, ნაწილობრივ მაინც გამოიკვეთა...**

— სპარტაკიადა, რა თქმა უნდა, იმ სამზადისის ერთი ეტაპია, რომელიც ნაკრების წევრთა მდგომარეობასა და შანსებს განსაზღვრავს. ამ მხრივ, მაგალითად, კობა კურტანიძე უდავო ფავორიტია. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ იგი მეშვიდედ გახდა საბჭოთა კავშირის და მეორედ სპარტაკიადის ჩემპიონი. არც იმაზე ვამბობთ რამეს, რომ კურტანიძე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია. 28 წელს მიღწეულ ოსტატს გამოცდილებაც, ცხადია, საკმარისი აქვს და შესაძლებლობებიც. მაგრამ მთავარი ის არის, რომ კურტანიძე ბარსელონის ოლიმპიადას უმიზნებს და თავის ყველა გამოსვლას ამ საზომით ზომავს.

**● მაშინ მინსკის ტურნირების შედეგებით კობა კმაყოფილი უნდა იყოს, ვინაიდან ორი ოქროს მედალი მოიპოვა.**

— კურტანიძის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, იგი დღესდღეობით თავის წონაში უძლიერესია, თუმცა ჰყავს ორი ახალგაზრდა კონკურენტი, რომელთაგან ერთმა, ჩელიაბინსკელმა გიორგი გაურგაშვილმა ვერცხლის მედალიც კი მოიპოვა. მაგრამ ისინი ჯერ კობას პოტენციური მეტოქეები არიან მხოლოდ, რაც მინსკის ბატალიებმაც ცხადყო.

**● თუ არ ვცდებით, ახალგაზრდობა გუნდში ჩვენც გვყავს და საკმაოდ პერსპექტიულიც, რას იტყვით ამის თაობაზე?**

— წარმოგიდგენთ ერთ-ერთ მათგანს — დავით ხახალეიშვილს, რომელმაც სასპარტაკიადო ტურნირსა და საკავშირო ჩემპიონატში შვიდი შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო, თანაც არც ერთ გამარჯვებაზე წუთზე მეტი დრო არ დაუხარჯავს.

**● დავითი საბჭოთა კავშირის ნაკრებში, ალბათ, პირველი ნომერია...**

— პირველი იგი შარშანაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ მაშინ ეჭვი აითრია. სხვათა შორის, მწვრთნელთა საბჭო გარკვეულწილად ბელორუს შარაპოვს ჰომაგობს, მაგრამ დათომ მინსკში იგი ორჯერ დაამარცხა წმინდად. ასე რომ, თუ ქვეყანა არ დაიქცა, ხახალეიშვილი ნაკრების პირველი ნომერი იქნება ევროპის ჩემპიონატშიც და მსოფლიო პირველობაზეც.

**● საქართველოს ძიუდოისტთა პოზიციები მეტ-ნაკლებად მერყეობა 86 და 78 კგ წონით კატეგორიებში. ხომ არ შეიცვალა რამე?**

— ჩვენ მაღალი კლასის მოჭიდავეები საკმაოდ გვყავს 71 კგ წონაში, ამიტომ ერთ-ერთი მათგანი, დუშელი ბათო ჯიქური ზედა წონაში ვაჭიდავეთ. ექსპერიმენტმა გაამართლა. ბათომ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. დარწმუნებული ვარ, მას ფინალშიც შეეძლო გასვლა. მართალია, იქ ბაშირ ვარაევთან ვერაფერს გააწყობდა, მაგრამ ვერცხლის მედალს მაინც გამოჰკრავდა ხელს. თუმცა ამას, ბოლოს და ბოლოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა არც კი ჰქონდა. საქმე ჯიქურმა ისედაც გააკეთა.

**● 86 კილოგრამზე რაღას გვეტყვით?**

— ამ წონაში მეხუთე-მეექვსე ადგილი გვქონდა დაგეგმილი, ამიტომ დათო ბაგაურს ვერცხლის მედლისთვის მადლობის მეტი არაფერი ეთქმის, აი გიორგი გაჩიჩილაძემ კი ყველანი გააოცა. საკავშირო ჩემპიონატში მისი გამარჯვება ამ ტურნირის ერთ-ერთი სენსაციაა. გიორგიმ, ფაქტობრივად, ყველა უძლიერესი მეტოქე დაამარცხა. ამიტომ დღესდღეობით იგი ნაკრების პირველი ნომერი კანდიდატია. ახლა მან რომელიმე საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებით უნდა დამტკიცოს, რომ სტაბილური მოჭიდავეა და მაშინ, გზა ხსნილი ექნება ევროპის ჩემპიონატისკენ.

**● გულახდილად უნდა გითხრათ, ვლადიმერ დგებუაძისაგან ოქროს მედალს ველოდით. რამდენად იყო მართებული ჩვენი მოლოდინი?**

— დგებუაძემ ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა, ორჯერ იჭიდავა ფინალში და ორჯერვე მახაჩყალელ ალიევთან დამარცხდა. ნაკრებში დღეს-დღეობით იგი მეორე ნომერია. თქვენ გაინტერესებთ, რამდენად კანონიერი იყო მისი მარცხი ალიევთან? აქ ხაზი უნდა გავუსვათ ორ გარემოებას. ჯერ ერთი, ალიევი თავისი ჭიდაობის მანერით დგებუაძისთვის ერთობ უხერხული მეტოქეა. ეს, ცხადია, არ არის გამართლება. გარდა ამისა, მზადების დროს დგებუაძე წონას იკლებდა ხოლმე— ეს კი ავის მომსწავებელი ნიშანი იყო. მაგრამ ვლადიმერი უაღრესად ნიჭიერი მოჭიდავეა და, დარწმუნებული ვარ, ყველა სირთულეს გადალახავს. ადრე თუ გვიან, იგი უსათუოდ იტყვის სათქმელს დიდ სარბიელზე. ამაში ეჭვი არავის ეპარება.

**● დაბალი წონების მოჭიდავეთა მიმართ პრეტენზიები, ცხადია, არ შეიძლება გვქონდეს. ასეა, არა?**

— გურამ მოდებაძის ბრძოლა ფინალში სერგეი კოსმინინთან ტაქტიკური ჭიდაობის ბრწყინვალე მაგალითი იყო. მოდებაძემ, ამავე დროს, კარგი ტექნიკური



მომზადებაც გამოაჩენა. ასე რომ, მისი გამარჯვება სასპარტაკიადო ტურნირში ძალთა რეალურ შეფარდებას აღნიშნავდა. ქვემით უნდა მოვიხსენიოთ ასევე ახალგაზრდა გერასიმე ხაბულიანი, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატში ვერცხლის ჯილდო დაიმსახურა.

**● ჩვენ, ჩვენდაუნებლიეთ, გული დავწყვიტეთ კახა ქურახბედიანს, როცა საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორთა სიაში გამოვტოვეთ მისი გვარი. გამოგვახწორებინეთ ახლა ეს შეცდომა!**

— სპორტსახკომის პრიზზე გამართულ ტურნირში კახამ ერთადერთი შეხვედრა წააგო გამზათოვთან, მეორე ადგილი დაიკავა და საკავშირო ჩემპიონატის ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. აქ მან ორი შეხვედრა მოიგო და ფინალში გავიდა ისევ იმ გამზათოვთან. კახა ამჯერად იგებდა პრინციპულ ბრძოლას, მაგრამ მესამე წუთზე ნეკნი დაიზიანა და ექიმმა, ცხადია, მოხსნა შეჯიბრებიდან. ვერცხლის მედალიც არ არის ურიგო ჯილდო ამ ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭიდავისათვის. ყველაზე მეტად სასიამოვნო კი ის გახლავთ, რომ ამირან ტოტიკაშვილს გვერდში ასეთი საიმედო პარტნიორი ჰყავს.

**● ჩვენ არაფერი გვითქვამს ჯონდო დაბრუნდაშვილზე, რომელმაც საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.**

— ჯონდოს ჯერ ოცი წელი არც შესრულებია, ასე რომ, მას წინ აქვს ყველაფერი. ფიზიკურად ძლიერია, ტექნიკაც საკმარისი აქვს. გამოცდილებას კი... ამას დროთა განმავლობაში მოვლება. სპორტსახკომის ტურნირში ჯონდომ ყველა მეტოქე დაამარცხა. მერე საკავშირო ჩემპიონატშიც იმარჯვა და ფინალში გავიდა ხახალეიშვილთან. ვერცხლის მედალი, რომელიც მან ამ ტურნირში მოიპოვა, მისი სპორტული ბიოგრაფიის პირველი ფურცელია, რომელიც უსათუოდ შეივსება ახალი გამარჯვებებით.

**● ბატონო შოთა, საუბარი ცოტა არ იყოს გაგვიგრძელდა. თავად თქვენ ხომ არა გაქვთ რაიმე სათქმელი?**

— წარმატებას, რომელიც ჩვენ მინსკში მოვიპოვეთ, ბევრი თანაავტორი ჰყავს, მაგრამ მე პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო იმათ, ვინც უანგაროდ, მთელი გულითა და სულით გვეხმარებოდა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში. ესენი არიან სპორტსახკომის ბაკურიანის ბაზის, განათლების სამინისტროს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზის (დილომში) და სასტუმრო „უშბას“ ადმინისტრაცია, მთელი პერსონალი, რომელთა ყურადღებას და თანადგომას ვგრძნობდით ყოველ დღე, ყოველ ნაბიჯზე...

**● მაშინ ერთი შეკითხვაც: რამ დატოვა ამ ტურნირში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თქვენზე?**

— ბიჭებმა ექვსი ოქროს მედალი მოიპოვეს და ამ გამარჯვებების აღსანიშნავად ექვსჯერ აჟღერდა მინსკის ხალხით გაჭედილ სპორტის სასახლეში ქართული ეროვნული ჰიმნი— „დიდება“. ეს იყო ჩვენი ყველაზე დიდი სიხარული.



# „ფერარი“ კვლავ ძლიერი მეტოქე იქნება

ფორმულა — 1

**ბარსელონელი** სეზონის შემდეგ, დეკემბრის დასაწყისში, ტრადიციულად, პარიზში მოეწყო ავტოსპორტის ყველა სახეობაში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ აირტონ სენამ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს 42-ე ჩემპიონატი უფრო საინტერესოდ წარიმართება და დაუმატა, რომ „ფერარი“ კვლავ ძლიერი მეტოქე იქნება „მაკლარენისთვის“.

აქვე დამტკიცდა ჩემპიონატის კალენდარი და ასპარეზობის ახალი წესები, რომლის მიხედვითაც გაუქმდა 11 საუკეთესო შედეგი. ახლა პილოტებს ჩაეთვლებათ 16 ეტაპზე დაგროვილი ქულები. დიდი ყურადღება მოექცევა პილოტთა უსაფრთხოებას. წესების მცირე დარღვევა, საავარიო სიტუაციის გამოწვევა და, ავტომრბოლი მყისვე მოიხსნება შეჯიბრებიდან, მისი შედეგი კი გაუქმდება.

პილოტების უმრავლესობა საშობაო არდადეგების შემდეგ ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა.

„სილვერსტოუნზე“ ჩატარდა ახალი „ტაირელ 020“-ის გამოცდა. ავტომობილს გუნდის ახალი წევრი, იტალიელი სტეფანო მოდენა მართავდა.

გუნდის მთავარმა კონსტრუქტორმა განაცხადა, რომ ახალი „ტაირელი“ უფრო მაღალი კლასის ავტომობილია, ვიდრე ადრეული მოდელები.

„ვფიქრობ, ოპტიმისტურად უნდა განვწყოთ 1991 წლისათვის“ — თქვა ჯენ ტაირელმა, გუნდის სპორტულმა დირექტორმა.

ლენგლის „იაპონურ ძრავათა დამამზადებელი ცენტრიდან“ „ტაირელის“ შტაბ-ბინაში მოვიდა „ჰონდა 101“ ძრავის პირველი ეგზემპლარი. როცა მომსახურე პერსონალმა გახსნა ყუთი, აღმოჩნდა, რომ ლამაზად შეფუთულ ძრავას ყვითელბაფთიანი მისალოცი ბარათი მოჰყვა წარწერით: „საშობაო საჩუქარი „ტაირელს“ „ჰონდასგან“.

საზეიმო ცერემონიალი გაიმართა ქალაქ მარანელოში, სადაც „ფერარის“ წარმომადგენელმა, ჩეზარე რომიტიმ განაცხადა, რომ 1991 წლის სეზონი ძალზე ძნელი იქნება; მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ „ფერარი“ ბოლოს და ბოლოს მოიპოვებს ჩემპიონობას. რომიტიმ თქვა, რომ პილოტები, მექანიკოსები, კონსტრუქტორები და სხვა მომსახურე პერსონალი ყველაფერს გააკეთებენ გამარჯვებისთვის.

ტრადიციულ საშობაო სადილს ესწრებოდა „ფერარის“ პრეზიდენტი პიერო ფუზარო, ვიცე-პრეზიდენტი პიერო ლარდი-ფერარი, საპატიო სტუმრები — ლუკა დე მონტეზემოლო, სერჯო პინინფარინა, მარკო პიჩინინი და სხვები. რომიტის ნათქვამს ფუზარომ დაუმატა: „ჩვენ მოვიპოვებთ ლამაზ გამარჯვებას“.

დაჯილდოვეს ალენ პროსტი, ნაჯელ მენსელი და ჯანი მორბიდელი. საჩუქრის გარეშე არც ჟან ალეზი დარჩენილა.

საბოლოოდ გაირკვა ალენ პროსტის ყოფნა-არყოფნის საკითხი „ფერარის“ გუნდში. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო ოჯახური პირობებით, ფრანგმა პილოტმა განაახლა კონტრაქტი 1992 წლის ბოლომდე. ამრიგად, იანვრის ბოლოს და თებერვალში ალენ პროსტი და ჟან ალეზი შეუდგებიან „ფერარის“ ახალი მოდელის გამოცდას „ეშტორილზე“, პორტუგალიაში.

„ბენეტონ-ფორდმა“ წლევანდელ სეზონში ნელსონ პიკესთან ერთად საასპარეზოდ მიიწვია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის თანამემამულე რობერტო მორენო. როგორც ამბობენ, ამ გარიგებას ხელი შეუწყო გასულ სეზონში „სუძეკაზე“ მის მიერ მეორე ადგილის დაკავებამ.

„ბენეტონმა“ სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა „პირელისთან“.

სახელგანთქმული იტალიური ფირმის საბურავებით „მეიმოსეება“ ავრეთვე „ტაირელ-ჰონდა“, „ბრებემ-იამაჰა“, „დალარა-ჯადი“, „მინარდი-ფერარი“ კი პირიქით, „გუდიარის“ საბურავებით გამოვა.

„ბენეტონი“ „ფორდის“ ახალი ძრავისა და „პირელის“ საბურავების გამოცდას სამხრეთ აფრიკის „კიალამის“ შემდეგ, პორტუგალიის „ეშტორილზე“ განაგრძობს.

„ბრებემ-იამაჰამ“ მიიწვია 24 წლის მარკ ბლანდელი. წელს ინგლისელი პილოტის დებიუტია „ფორმულა 1“ კლასში. ადრე იგი „პროტოტიპებში“ ასპარეზობდა და ჯულიან ბეილისთან ერთად „ნისანის“ ღირსებას იცავდა, თან „უილიამს-რენოს“ („ფორმულა 1“) გამომცდელიც იყო. იგი მარტინ ბრანდლთან ერთად გამოვა.

დიდი ცვლილებებია „ლოტუსში“. გუნდში ახალი მენეჯერი მოვიდა, გერმანელი ჰორსტ შუბელი.

„ლოტუსის“ სპორტულმა დირექტორმა განაახლა ურთიერთობა ერრიკე სკალაბრონისთან, არგენტინელ კონსტრუქტორთან. სკალაბრონისთან ერთად შუბელმა მოამზადა „ფორმულა 3“ კლასის ავტომობილი, რომლის საჭესთანაც ბერნდ შნაიდერმა 1987 წელს გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. არგენტინელი კონსტრუქტორი მუშაობდა, აგრეთვე, „უილიამსსა“ და „ფერარიში“.

„ლოტუსმა“ უკვე მიიწვია 22 წლის ფინელი მიკა ჰაკინენი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ინგლისის 1990 წლის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა „ფორმულა 3“ კლასში.

ჰაკინენი მესამე ფინელია „ფორმულა 1“ კლასში კეკე როსბერგისა და ირკი იარვილეჰტოს შემდეგ.

ფინელი პილოტის თანაგუნდელი „ლოტუსში“ შეიძლება გახდეს ჯონი ჰერბერტი, ჯონი დამფრიზი ან ბერნდ შნაიდერი.




„კოლონის“ ღირსებას მომავალი ორი წლის მანძილზე დაიცავს პორტუგალიელი პედრო მატოს ჩავესი, რომელიც ინგლისის ჩემპიონია „ფორმულა 3000“ კლასში.

ახლა კიდევ ერთხელ გავაცნობთ იმ გუნდებს და პილოტებს, რომლებიც მსოფლიოს 42-ე ჩემპიონატზე სასპარეზოდ გამოვლენ:

„მაკლარენ-ჰონდა“ — აირტონ სენა (ბრაზილია), გერჰარდ ბერგერი (ავსტრია);

„ტაირელ-ჰონდა“ — სატორუ ნაკაჰმა (იაპონია), სტეფანო მოდენა (იტალია);

„უილიამს რენო“ — ნაიჯელ მენსელი (ინგლისი), რიკარდო პატრეზე (იტალია);

„ბრებემ-იამაჰა“ — მარტინ ბრანდლი, შარკ ბლანდელი (ინგლისი);

„ეროუზ-პორშე“ — მიქელე ალბორეტო, ალეშ კაფი (იტალია);

„ლოტუს-ჯადი“ — მიკა ჰაკინენი (ფინეთი);

„ოსელა-კოსუორტი“ — ოლივიე გრუიარი (საფრანგეთი) ან პოლ ბელმონდო (საფრანგეთი);

„ლეიტონ ჰაუს-ილმორი“ — მაურიშიო გუეელმინი (ბრაზილია), ივან კაპელი (იტალია);

„ა-ეე-ეს-კოსუორტი“ — გაბრიელე ტარკვინი (იტალია);

„ბენეტონ-ფორდი“ — ნელსონ პიკე, რობერტო მორენო (ბრაზილია);

„დალარა-ჯადი“ — ემანუელე პირო (იტალია), ირკი იარვილეჰტო (ფინეთი);

„მინარდი-ფერარი“ — პიერლუიჯი მარტინი, ჯანი მორბიდელი (იტალია);

„ლიჟიე-ლამბორგინი“ — ტიერი ბუტსანი (ბელგია), ერიკ კომა (საფრანგეთი);

„ფერარი“ — ალენ პროსტი, ჟან ალეზი (საფრანგეთი);

„ოლილა-კოსუორტი“ — ერიკ ბერნარი (საფრანგეთი), აუგური სუძუკი (იაპონია);

„კოლონი-კოსუორტი“ — პეტრო ჩავესი (პორტუგალია);

„ლამბორგინი“ — ნიკოლა ლარინი (იტალია), ერიკ ვან დერ ჰოელი (ბელგია);

„ჯორდან-ფორდი“ — ბერტრან გაშო (ბელგია).

როგორც ხედავთ, უარი თქვეს ასპარეზობაზე „ეურობრუნმა“, „მონტეკერლომ“ და „ლალიფმა“. მათ მაგივრად შედგება ორი გუნდის: იტალიური „ლამბორგინის“ (კონსტრუქტორი მაურო ფორგიერი) და ინგლისური „ჯორდანის“ (მენეჯერი ედი ჯორდანი) დებიუტი, ჯერჯერობით გაურკვეველია ბერნდ შნაიდერის გადასვლა „ლოტუსში“, სტეფან იოჰანსონის — „ა-ეე-ეს-ში“, ანდრეა დე ჩეზარისის გადასვლა „კოლონის“ ან „ჯორდანის“ გუნდში.

დაბოლოს, მსოფლიოს 42-ე ჩემპიონატის კალენდარი: 1. აშშ, არიზონა, „ფენიქსი“ — 10 მარტი; 2. ბრაზილია, სან პაოლო, „ინტერლაგოსი“ — 24 მარტი; 3. სან-მარინო, მოდენა, „იმოლა“ — 28 აპრილი; 4. მონაკო, მონტე-კარლო — 12 მაისი; 5. კანადა, მონრეალი, „ჟილ ვილნევი“ — 2 ივნისი; 6. მექსიკა, პუებლა — 16 ივნისი, 7. საფრანგეთი, ნევერი, „მანი-კური“ — 7 ივლისი; 8. ინგლისი, „სილვერსტოუნი“ — 14 ივლისი, 9. გერმანია, „ჰოკენჰაიმი“ — 28 ივლისი; 10. უნგრეთი, ბუდაპეშტი, „ჰუნგარორინგი“ — 11 აგვისტო; 11. ბელგია, „სპაფრანკორშამპი“ — 25 აგვისტო; 12. იტალია, მილანი, „მონცა“ — 8 სექტემბერი; 13. პორტუგალია, „ეშტორილი“ — 22 სექტემბერი; 14. ესპანეთი, ბარსელონა — 29 სექტემბერი; 15. იაპონია, „სუძუკა“ — 20 ოქტომბერი; 16. ავსტრალია, ადელაიდა — 3 ნოემბერი.

საფრანგეთის „გრან პრი“ მომავალი ხუთი წლის განმავლობაში გათამაშდება განახლებულ „მანი-კურის“ ტრასაზე, რომელიც ნევერის ველზე აშენდა — განაცხადა ავტოსპორტის საფრანგეთის ფედერაციამ.

ტრასა, რომლის სიგრძეა 4,271 კმ, 1988 წელს საზეიმოდ გახსნა პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა.

**უცხოური გაზეთების მიხედვით მოამზადა ლევან ჩუბინიძემ.**

## ძველი ახალი ამბები

### „თავისუფლება ანჟელა დევისს!“

**70-იანი** წლების დასაწყისში ვინ აღარ აწერდა ხელს ანჟელა დევისის განთავისუფლების მოთხოვნის განცხადებას. ეს კულტურის ყველა ცნობილი მოღვაწისათვის სავალდებულოც კი გახდეს. მაგრამ ყველა როდი იყო თანახმა, მონაწილეობა მიეღო ამ პოლიტიკურ აქციაში.

— ამას ვერ მოვაწერ ხელს — განუცხადა, მაგალითად, სახტად დარჩენილ „საზოგადოებრიობის წარმომადგენელს“ ბორის სპასკის.

— მაპატიეთ, რატომ?

— იმიტომ, რომ საქმის ძიების მასალებს არ ვიცნობ.

როცა ანალოგიური თხოვნით მიმართეს მიხეილ ბოტვინიკს, პასუხი ასეთი მიიღეს:

— მე მხოლოდ საკუთარ განცხადებებს ვაწერ ხელს.

### სოლოვოვნისებური გადაწყვეტილება

იმ გერმანელებს, რომლებიც ისრაელში მოგზაურობას მოისურვებდნენ, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ცნობა უნდა წარედგინათ, რომ წინათ ნაცისტური პარტიის წევრები არ იყვნენ.

1976 წელს თელ-ავივში საერთაშორისო საჰადრაკო ოლიმპიადა მიეწყო. როგორც კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ბენ-გურიონის აეროპორტში ჩაფრინდა, სათანადო უწყების მოხელემ დიდოსტატ ვოლფგანგ უნციკერს (რომელმაც თავისი „საუკეთესო წლები“ აღმოსავლეთის ფრონტზე გაატარა) მოსთხოვა დაუყოვნებლივ ეჩვენებინა ზემოაღნიშნული დოკუმენტი. ასეთი ცნობა უნციკერს არ აღმოაჩნდა. კანონი კანონია, და, უნციკერს, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოში დაბრუნება ეშუქრებოდა. ატყდა კამათი გერმანელ მოჭადრაკესა და ისრაელის აეროპორტის მოხელეებს შორის. უნციკერის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა.

ნუ შესთავაზებ შვედს... პოლტავას!

1974 წელს ტიგრან პეტროსიანი და ვიქტორ კორჩნოი, ადრე მეგობრები რომ იყვნენ, აშკარად შემოსწყრნენ ერთმანეთს. ამასობაში მათი მატჩი უნდა დაწყებულიყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მორიგ ციკლში. რახან მეტოქეებს ერთმანეთთან ლაპარაკი არ სურდათ, მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის საჰადრაკო ფედერაციის წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებდნენ.

წარმომადგენელმა კორჩნოის აცნობა, რომ პეტროსიანს მოსკოვში სურს თამაში. „ამ ქალაქში კორჩნოის 1971 წელს უკვე წაგებული ჰქონდა მატჩი პეტროსიანთან, ამიტომ ცივი უარი განაცხადა. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. ახლა ფედერაციის წარმომადგენელმა კორჩნოის შეატყობინა, რომ პეტროსიანი კიევში თამაშს სთავაზობს. ამ ქალაქში კორჩნოიმ 1968 წელს წააგო სპასკისთან, და, ცხადია, კვლავ უარი თქვა იქ ჩასვლაზე:

— გამანებებთ თუ არა თავს! როდის შემომთავაზებთ ნორმალურ ქალაქში თამაშს? შვედ ანდერსონთან რომ მქონოდა შეხვედრა, მაინცდამაინც პოლტავას შევთავაზებდი მას?

### „მადლობა ღმერთს, ერთ „ფარაში“ მოვხვდით!“

1974 წელს მოსკოვში ვიქტორ კორჩნოისა და ანატოლი კარპოვს შორის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მიმდინარეობდა. პარტიები პრესაში რეგულარულად შუქდებოდა, მათ შორის, ცხადია, „სოვეტსკი სპორტშიც“, რომლის კორესპონდენტიც ჰადრაკის დიდ მცოდნედ ვერ ჩაითვლებოდა. რაღას იზამდა! ადგა და დახმარება დიდოსტატ ალექსეი სუეტინს სთხოვა და გაზეთმაც მისი კომენტარების ბეჭდვა დაიწყო. კეთილი, მაგრამ ეს კომენტარები, კორესპონდენტს ძალიან მშრალად მოეჩვენა და მათი გაცოცხლება გადაწყვიტა.

ერთხელ კორესპონდენტმა პარტიების აღწერისას პოპულარული ფრანგული გამონათქვამი გამოიყენა და აი, რა გამოუვიდა: „ახლა კი დავუბრუნდეთ ჩვენს ცხოვრებას, კარპოვ-კორჩნოის პარტია ასე გაგრძელდა...“

კორჩნოი, ეს წერილი რომ წაიკითხა, ძალზე გამხიარულდა: „მადლობა ღმერთს! როგორც იქნა, იმ სიმპათიის მიუხედავად, რომელიც ჩვენს ხელმძღვანელობას კარპოვის მიმართ აქვს, ჩვენ მაინც ერთ „ფარაში“ მოვხვდით!“

### ანეკდოტებიც საკმაოდ იყო

1978 წელს ბაგიოში მიმდინარეობდა მსოფლიო პირველობის მატჩი ანატოლი კარპოვსა და ვიქტორ კორჩნოის შორის. საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, იცოცხლეთ, „ბოროტმოქმედს“ ლანძღვა-გინებას არ აკლებდნენ. ამიტომაც, რა ანეგდოტებს არ გაიგონებდით მაშინ! კითხვა: ვინ გაიმარჯვებს კარპოვ-კორჩნოის მატჩში? პასუხი: საბჭოთა საჰადრაკო სკოლა! კითხვა: გადმოსცემენ თუ არა ბაგიოდან მატჩის პარტიების სვლებს? პასუხი: გადმოსცემენ, ოღონდ მხოლოდ კარპოვისას!

როცა ანგარიში 5:5 გახდა, ვიღაცამ იხუმრა, ლეონიდ ბრეჟნევს ასეთი დეპეშა გამოუგზავნია — „გამარჯვებულს შეუძლია დაბრუნდეს!“

**რედაქტორის მოადგილე**
**თამაზ მიგრიაული**

საქართველოს სპორტსახკომი და კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია სამძიმარს უცხადებენ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს მურმან ქურიძეს მეუღლის **ნინო ზალვას ასულ თოიძის** გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, მ. კოსტავას, 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55**
**სამდივნო — 93-97-52**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „ხალხობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.**

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20